ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 178 (18720) ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ 200 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲥᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲜᲗᲐᲡ

ᲩᲔᲚᲘᲐᲑᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲙᲕᲐᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲓᲒᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲙᲘ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ — ᲣᲠᲐᲚᲘᲡ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲐᲛᲖᲐᲓᲔᲡᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲛᲐ. ᲢᲐᲜᲙᲘ — 1945 ᲬᲚᲘᲡ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ, ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ — ᲡᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐᲪᲐᲛᲔᲢᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ.

ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲚᲘ ᲛᲐᲯᲘᲝᲓ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲡᲐᲮᲘᲔᲠᲔᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲠᲚᲘᲕᲒᲘᲕᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲐ. ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲔᲚᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲛ ᲐᲨᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲡ.

„ᲛᲔ, ᲥᲕᲔᲛᲝᲠᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲘ“...

„ᲛᲔ, ᲥᲕᲔᲛᲝᲠᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲘ, ᲡᲐᲛᲬᲘᲡᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲛᲘᲗ ᲕᲣᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲪᲘ: ᲩᲔᲛᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲘᲠᲤᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲐᲠᲬᲔᲠᲘᲗ“.

ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲠᲝ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲪ ᲛᲝᲠᲗᲝᲮᲕᲘᲓᲝᲓᲐᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲔ ᲨᲘᲜ ᲓᲐᲒᲠᲓᲐᲘᲥᲜᲐ ᲬᲐᲠᲛᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲠᲓᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲠᲐᲓᲘ ᲢᲐᲜᲙᲘᲡ ᲣᲠᲐᲚᲘᲡ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲐᲛᲖᲐᲓᲔᲡᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲛᲐ. ᲢᲐᲜᲙᲘ — 1945 ᲬᲚᲘᲡ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ, ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ — ᲡᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐᲪᲐᲛᲔᲢᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ.

ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲘᲚᲘ ᲛᲐᲯᲘᲝᲓ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲠᲚᲘᲕᲒᲘᲕᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲐ. ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲔᲚᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲛ ᲐᲨᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲡ.

ᲛᲔᲝᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲣᲣᲐᲒᲣᲚ ᲬᲚᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲑᲘᲒᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲑᲘᲓᲘᲡ, ᲮᲨᲘᲠᲛᲐ ᲣᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲗ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲡᲘᲪᲮᲣᲚᲗᲐᲛ, ᲥᲐᲠᲘᲨᲯᲐᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲘᲥᲘᲡᲘᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲢᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲐᲚᲘ ᲛᲘᲐᲣᲪᲘᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ. ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲛᲐᲡ. ᲑᲔᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲓᲐᲘᲜᲘᲜᲐ, ᲐᲮᲚᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲐᲚᲙᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲘᲥᲜᲐ, ᲛᲠᲘᲛᲬᲔᲚᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲝᲙᲐᲠᲒᲐ ᲓᲘᲓᲫᲐᲚᲘ ᲜᲘᲭᲚᲘᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲘ, ᲐᲮᲚᲐᲠ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲘ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ, ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ ᲐᲛ ᲣᲠᲗᲝᲣᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲠᲚᲘᲕᲒᲘᲕᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲔᲚᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲛ ᲐᲨᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ. ᲫᲚᲘᲔᲚᲘ ᲓᲠᲝ ᲘᲧᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲐᲜᲘᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ „ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ“. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲨᲘ, ᲘᲡᲔ ᲡᲙᲒᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲗᲕᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲡᲗ ᲞᲐᲠᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ, ᲐᲮᲚᲘᲡᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲡᲬᲝᲠᲘᲗ ᲐᲮᲚᲔᲡ ᲒᲠᲫᲝᲚᲓᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲘ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ, ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲬᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲘ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ, ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲘ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ, ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ ᲐᲛ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲠᲚᲘᲕᲒᲘᲕᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲐ. ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲔᲚᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲛ ᲐᲨᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ. ᲫᲚᲘᲔᲚᲘ ᲓᲠᲝ ᲘᲧᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲐᲜᲘᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ „ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ“. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲨᲘ, ᲘᲡᲔ ᲡᲙᲒᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲗᲕᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲡᲗ ᲞᲐᲠᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ, ᲐᲮᲚᲘᲡᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲡᲬᲝᲠᲘᲗ ᲐᲮᲚᲔᲡ ᲒᲠᲫᲝᲚᲓᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛ

საძღვრისო თემაზე

ეს ყველას გვეხება!

ორი ზაჰესი... ფესბურთის მაცდურისათვის

ამას წინათ „საქმთავარენერგოს“ ენერგოზედამხედველობის დირექტორის მოადგილეს გ. გოგოლაძეს რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიის მომხმარებლებისადმი ნაჩუქარ ნათურებზე, ელექტროენერგიის მომხმარებლებზე ზეგავლენა ეს ინფორმაციის ტემპი, გადიდდეს ეროვნული შემოსავლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მატების აბსოლუტური ოდენობა. გთვალისწინებულია გაგრძელდეს მუშაობა სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. დამატებული დავალებანი უნდა შესრულდეს მატერიალური დანახარჯებისა და შრომითი რესურსების შედარებით ნაკლები ზრდის პირობებში.

ეკონომიკის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაში ერთ-ერთი უმთავრესი როლი, რა თქმა უნდა, ელექტროენერგიამ უნდა შეასრულოს. იგი სახალხო მეურნეობის მამოძრავებელი ძალაა და მის რაციონალურ გამოყენებას პრინციპული, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

ელექტროენერგიაზე მოთხოვნა ჩვენს რესპუბლიკაში არნახული სისწრაფით იზრდება. ახალი სამრეწველო საწარმოების ამოქმედებამ, სოფლის მეურნეობაში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვამ, რკინიგზაზე მატარებლების გამტარუნარიანობის გადიდებამ და სხვა ფაქტორებმა ენერგიის დამატებითი წყაროები მოითხოვა, ენერგიაზე მოთხოვნილების ზრდა, ცხადია, დაკავშირებულია მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთანაც. ელვისებური სისწრაფით მრავლდება ტელევიზორების, მაცივრების, იატაკის საპრიალებლების, რადიომიმღებების, მრავალნათურიანი ჭაღების, ელექტროქურებისა და, ვინ მოთვლის, კიდევ რა სახეობათა ხელსაწყოთა რიცხვი.

ჩვენს რესპუბლიკაში რომ სისტემატურად, სწრაფი ტემპით შენდება და კვლავ აშენდება ახალი ენერგოსამძლავრეები, ჭეშმარიტებაა, ეს ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ მარცხალია ისიც, რომ მოთხოვნა ამ მიმართულებით ახლო მომავალში მკვეთრად გაიზრდება.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ ფეხბურთის უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას საქართველოს მოსახლეობის ტელევიზორები იმდენ ენერგიას „ჭამდნენ“, რამდენის გამომუშავებასაც ორი ზაჰესის სიმძლავრე დასჭირდებოდა. ლაპარაკია იმ ზაჰესზე, რომელიც მეორე იყო თავის დროზე საბჭოთა კავშირში და მას ეყრდნობოდა მთელი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა. აქ საკითხი ეხება მარტო ტელევიზორებს, აბა წარმოიდგინეთ, რამდენ ენერგიას ხარჯავენ მათთან ერთად საჭირო და არასაჭირო ნათურები, სხვა ხელსაწყოები.

დასაფიცი არაფერია, თუ არ გვინდა პერიოდულად სიბნელეში ვიჯდეთ, უნდა ვისწავლოთ ენერგიის მომჭირნე ხარჯვა, ყველა გზა უნდა გადაეკეტოს მის ფლანგვას. მომავლისათვის მწყობრში ჩადგება ახალი სიმძლავრეები, მაგრამ ენერგიაზე მოთხოვნის მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით შეიქმნება დეფიციტი და ამაში ჩვენივე ვიქნებით დამნაშავე.

თუ თადარიგს დავიჭერთ, გამოვრთავთ ზედმეტ ნათურებსა და ხელსაწყოებს, მიზანს მივაღწევთ. მომჭირნეობის რეზერვი უშრეტია. ყველას ახსოვს არცთუ ისე დიდი ხნისწინანდელი ის ეპიზოდი, როცა ცენტრალური ტელევიზიის დიქტორის თხოვნით მთელი ქვეყნის მოსახლეობამ ზედმეტი ნათურები და ხელსაწყოები გამორთო. სასწაულებრივი ამბავი მოხდა: სსრ კავშირის ერთიანი ენერგოსისტემის ცენტრალური სადისპეტჩერო პულტის ხელსაწყოებზე აღნიშნული ენერგიის ხარჯვის ციფრი 600 ათასი კილოვატით შემცირდა. ეს კი ხუთ-ნახევარჯერ სჭარბობს ხრამჰესის პირველი ელექტროსადგურის სიმძლავრეს.

დიდი, ძალიან დიდი, პირდაპირ ფასდაუდებელი როლი შეუძლია შეასრულოს მოსახლეობამ ელექტროენერგიის დეფიციტის მნიშვნელოვნად გადაფარვაში. აბა რა საჭიროა, როცა ბინის სასტუმრო, საძინებელი, სასადილო, საბაზეო ოთახებში, სამზარეულოსა და აბაზანაში ერთდროულად ანთია შუქი? ეს უთავბოლობისა და გულგრილობის ნიშანია. ყაირათობა ადამიანის კულტურის შემადგენელი ნაწილია, შეგნებული კაცი სახალხო დოვლათის განიავების უფლებას არავის არ მისცემს. ბოლოს და ბოლოს, რა გამოვა ჩვენი შვილებიდან, თუ მათ მომჭირნეობას არ ვასწავლით, ყაირათიანობა აღმზრდელობითი მუშაობის აუცილებელი ნაწილია, და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

მომდინარე ხუთწლედის განვლილ პერიოდში ელექტროენერგიის მოხმარება რესპუბლიკაში 1,5-ჯერ გაიზარდა. წელიწადში რომ თითოეულმა ოჯახმა ერთი პროცენტი, ვიმეორებ, მხოლოდ ერთი პროცენტი ენერგია დაზოგოს, ზღაპრულ შედეგს მივაღწევდით. რას ნიშნავს ერთი პროცენტი? ინებეთ: ეს საკმარისია თბილისქალაქის მოსახლეობისათვის 12 დღის განმავლობაში, — თელავისათვის — 4 თვის მანძილზე, ხოლო ორი თვით უზრუნველყოფს თბილისის მეტროპოლიტენსა და ერთი თვე ეყოფა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანას. ამ ერთმა პროცენტმა შეიძლება ნახევარი თვე ამუშაოს რესპუბლიკის კვების მრეწველობის ყველა საწარმო, შეკეროს 22 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი, დაამზადოს 33 მილიონი მეტრი შალის ან 55 მილიონი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

იცით თუ არა თქვენ, ეს ერთი პროცენტი ენერგია რომ გამოვიმუშაოთ, თბოელექტროსადგურს 4200 ტონა პირობითი საწვავი უნდა მივაწოდოთ, და ამისათვის 70 ვაგონ-ცისტერნი გამოვიყენოთ.

იქნებ ვინმეს ეგონოს, რადგან ერთ პროცენტს ამდენი სიკეთის მოტანა შეუძლია, ძნელი დასაზოგი იყოს? სრულიადაც არა, ამისათვის თითოეულმა აბონენტმა წელიწადში მხოლოდ 15 კილოვატსაათი ენერგიის იკონომია უნდა გასწიოს. მონდომება იყოს, თორემ ამ ციფრის გახუთკეცება და გაათკეცება შეიძლება. სხვათა შორის, 15 კილოვატსაათ ელექტროენერგიას 100 ვატი სიმძლავრის ვარვარა ნათურა 150 საათს მოიხმარს.

კიდევ ვიმეორებ: ეს ძალზე ადვილი საქმეა, თუ დავიცავთ იკონომიის ელემენტარულნი ელემენტარული მოთხოვნებს.

15 კილოვატსაათი 60 კაპიკს დაზოგავს.. ეს, რა თქმა უნდა, დიდი თანხა არ არის და ოჯახის ბიუჯეტს ბევრს ვერაფერს შემატებსო, იტყვის ზოგიერთი. სწორია, მაგრამ 15 კილოვატსაათის ზემოჩამოთვლილი სიკეთენი განა ფულით განიზომება?

იცოდეს ყველამ, რომ თითოეული კილოვატსაათი დაზოგილი ენერგიით იგი ეხმარება ქვეყნის ეკონომიკურ და თავდაცვითს ძალიერებას, თავისი წვლილი შეიტანს ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიზანდასახულობათა განხორციელებაში, იხდის თავის მოქალაქეობრივ ვალს, ავლენს კულტურას, მაღალ შეგნებას.

შ. ამაშუკელი.

„კომუნისტის“ კორ.

მოსკოვის კონსტრუქტორები



„დასარაიონებელია“ — ახეთ დასკვნას იღებს საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-სელექციონერთა მიერ შეთავაზებული მრავალი ჯიში და ჰიბრიდი.

მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში წარმოებისათვის დარაიონდა ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთებში გამოყვანილი შვიდი ჯიში და ჰიბრიდი. ამ დღეებში კომბაინერები სპეციალური ტექნიკის დახმარებით, რომელიც განკუთვნილია თავთავიანი კულტურების სასელექციო ნათესების აღებისათვის, მკიან საშემოდგომო ახალ ჯიშს „დელას“, რომელიც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ხუციშვილის მიერაა გამოყვანილი.

ინსტიტუტის კოლექტივი ეწევა ნაყოფიერ მუშაობას, რათა მაქსიმალურად გაადიდოს სახნავ-სათესის ნაყოფიერება. მეცნიერები ცდილობენ დანერგონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მინდვრის და ბოსტნეული კულტურების, კარტოფილის მოყვანის ინდუსტრიულ-სამრეწველო ტექნოლოგია, ამუშავებენ საკვების წარმოების ინტენსიურ ღონისძიებებს, სწავლობენ სარეველასაწინააღმდეგო პერპიციდების გამოყენებას, მუშაობენ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

სურათებზე: მნიშვნელოვანი ნაკვეთები უკავია სოიის საცდელ ნათესებს, რომელთა უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანისათვის მუშაობენ საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-სელექციონერები; მცენარეთა ბიოქიმიის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ციხანა მელქაძე და უფროსი ლაბორანტი ბორის წერეთელი ხოიაში ცილების რაოდენობის ანალიზს ატარებენ.

მ. დათიკაშვილისა და ი. ბავითაშვილის ფოტო.

(საინფორმის ფოტოქრონიკა).

მეცხოველეობა დამკვრილური ფრონტია

სასურსათო პროგრამის შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1982 წლის 22 ივნისს მიიღეს ერთობლივი დადგენილება წნორის მეცხოველეობის საცდელი კომპლექსის ახალ სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის შესახებ.

„კომუნისტის“ კორესპონდენტი ვლ. მჭედლიშვილი ესაუბრა კომპლექსის დირექტორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს ა. დოლმაზაშვილს იმის შესახებ, თუ რა ამოცანებია დასახული ამ დადგენილებით და როგორ სრულდება ისინი. მან თქვა:

წნორის მეცხოველეობის საცდელი კომპლექსი სამრეწველო საფუძველზე ძროხის ხორცის წარმოების ერთ-ერთი დიდი საწარმოა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთელ კავშირში.

როცა ამ დიდ ობიექტს ეყრებოდა საფუძველი, ზოგი ეჭვის თვალით უყურებდა მის მომავალს. ჯერ ერთი, კომპლექსს ძალზე დიდი გეგმები ჰქონდა შესასრულებელი, მეორეც, ალაზნის დამლაშებული ნიადაგის გაკულტურებას კოლოსალური ძალები და თანხები სჭირდებოდა. ეჭვი ეჭვად დარჩა... ძირითადი პრობლემები უკვე გადაჭრილია. ამჯერად კომპლექსის განკარგულებაშია 6.260 ჰექტარი მელიორირებული მიწა, 78 ფართო მოდების დასაწვიმებელი ფრეგატი, 19.000 სული პირუტყვი. მარტო შარშან დამზადდა და სახელმწიფოს მიეყიდა 2.000 ტონამდე ძროხის ხორცი.

სასურსათო პროგრამასთან დაკავშირებით, ჩვენი კომპლექსი გასცდა უწყებრივ ჩარჩოებს, ძროხის ხორცთან ერთად ვაწარმოებთ ყველა იმ პროდუქტს, რომლის მოყვანაც შეიძლება ჩვენს მიწაზე. შარშან ვაწარმოეთ და მუშა-მოსამსახურეებს მივყიდეთ 80 ტონა რძე, 6,2 ტონა ქათმის ხორცი, 14 ტონა ცხვრის ხორცი, 5,5 ტონა ღორის ხორცი, 20 ტონა თევზი, რომელიც ხელოვნურად მოწყობილ ტბორში მოვაშენეთ.

ყველა ძირითადი თუ დამხმარე დარგის განვითარებაში ჩვენ ვგრძნობთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 22 ივნისის დადგენილებას, რომლის მიხედვითაც წარმოება უნდა გადავიდეს ახალ სამრეწველო რელსებზე, ხუთწლედის ბოლოსათვის ძროხის ხორცის წარმოება ერთისამად, ესე იგი 6.000 ტონამდე უნდა გაიზარდოს.

დადგენილების რეალიზაციის მიზნით მისი მიღებიდან ერთი თვის შემდეგ კომპლექსში გაიმართა სპეციალური თათბირი, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე ხელმძღვანელობდა. თათბირს ესწრებოდნენ თითქმის ყველა სამინისტროს, უწყების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებსაც შესაბამისად ევალებოდათ კომპლექსის წინაშე დასმული ამოცანების განხორციელებაში წვლილის შეტანა.

განვლილი პერიოდი გვაძლევს უფლების ვთქვათ, ვინ როგორ ასრულებს დავალებას, ანუ რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს მომავალში.

უწინარესად საჭიროა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა დაიჩქაროს კომპლექსის საპროექტო ენერგოაღჭურვილობის გადაწყვეტა.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამსახურმა დღემდე საჭირო ღონისძიებები ვერ განახორციელა სარწყავი სისტემის სრულ წესრიგში მოსაყვანად, რაც სერიოზულად აფერხებს საკვები კულტურების საპროექტო მოსავლიანობის მიღწევას. „საქმთავარწყალმშენმა“ ყველაფერი უნდა იღონოს დარჩენილი 2.347 ჰექტარი დამლაშებული მიწების სატანად, რაც დღემდე არ შესრულებულა. ათითასობით ტონა ნაკელის გატანა ფერხდება.

საინტერესოა მეცხოველეობის პროდუქტების სამრეწველო [illegible] მოების მეორე ეტაპი 1990 [illegible] მდე, როცა სახელმწიფოს 10.000 ტონა ძროხის ხორცი უნდა მივყიდოთ. ამისათვის საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად გადაწყდეს 3.000 ჰექტარი დამლაშებული მიწების გამოყოფა, ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება და 1985 წლიდან სამელიორაციო სამუშაოების დაწყება.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სხვა ელემენტებთან ერთად, ჩვენი მეურნეობის წარმატების, რენტაბელობის გაზრდის და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების განმსაზღვრელია საკუთარი წარმოების მტკიცე საკვები ბაზა. ბინა საფუძველია კარგად მელიორირებული მიწების, სასუქების, ჰერბიციდების რაციონალურად გამოყენება.

მაგალითად, შარშან სარწყავის ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 80 ცენტნერი საკვები ერთეული დავამზადეთ, ორჯერ მეტი, ვიდრე ურწყავში. ხშირად ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ სოფლტექნიკის სამსახური თავის დროზე ვერ გვაწვდის საკმარისი რაოდენობის სასუქებს, შხამქიმიკატებს, მექანიზმებს, მანქანების კვანძებსა და დეტალებს, არ გვყავს საკმარისი რაოდენობის მექანიზატორები.

კომპლექსში წარმოების ზრდის პროპორციულად უნდა მოგვარდეს გამოსაზრდელში ხბორების შეყვანის გრაფიკი; საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უნდა გადმოგვცენ კომპლექსს შესაფერისი ჯანმრთელი ხბორები, ამასთან თავიანთ მერძევეობის ბრიგადებში ფურების სულადობა მნიშვნელოვნად უნდა გაზარდონ.

კომპლექსში და, ალბათ, რესპუბლიკის სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებშიც, მოუგვარებელია ბირუტყვის უზრუნველყოფა სამკურნალო პრეპარატებით, რისთვისაც საქმისა, პრაქტიკული ღონისძიებები უნდა შეიმუშაოს რესპუბლიკის ზოოვეტმმართველობამ.

კითხვაზე, თუ რა ამოცანებს ვისახავთ უახლოეს მომავალში, გიპასუხებთ, რომ წლეულს უნდა ვაწარმოოთ 25.000 ტონა საკვები ერთეული, სახელმწიფოს მივყიდოთ 2.500 ტონა ძროხის ხორცი, სამრეწველო პირუტყვის სულადობა 19.000 სულიდან გავზარდოთ 25.000 სულამდე, რაც იმის საფუძველს შექმნის, რომ ხუთწლედის ბოლოსათვის სახელმწიფოს მივყიდოთ 6.000 ტონა, ხოლო 1990 წლისათვის — 10.000 ტონა ხორცი.

ამ დიდი გეგმების რეალობას მოწმობს ჩვენი სამეურნეო მაჩვენებლები განვლილ 7 თვეში. ამ პერიოდში სახელმწიფოს მივყიდეთ 1.150 ტონა ხორცი, რაც გეგმას 50 ტონით აღემატება. კარგად მიდის საკვების დამზადება. საზეგმოზე მეტია მომარაგებული სენაჟი. ამ საქმეში თავი გამოიჩინა ვ. ვარაზაშვილის უგანრიგო ბრიგადამ, რომელიც მექანიზებული წესით დღეში 32 ტონა უხეშ საკვებს ამზადებს. ბრიგადა წლის ბოლოსათვის 4 ათას ტონა უხეშ საკვებს მიზადავს ფერმებთან.

ამჯერად, კომპლექსში მუშაობს ორასამდე მექანიზატორი, ამდენივე მძღოლი, 50 მრწყველი ოპერატორი, 100 მწყემსი, მეკვეთნე, მემინდვრე, საკვებმომპოვებელი და კიდევ ბევრი სხვა. თუ გავითვალისწინებთ, რომ წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად გაორკეცდება მუშაკთა რაოდენობა, საჭიროა დროზე გადაწყდეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, პირველ რიგში, კულტურის სახლის მშენებლობა. ამით ბევრ ახალგაზრდას მოვიზიდავთ და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩვენთან დარჩებიან სამუშაოდ.

* * *

სურათზე: კუბიდან ჩამოყვანილი „ზებუს“ ჯიშის პირუტყვი კარგად შეეგუა ალაზნის ველის ბუნებრივ პირობებს და თავს კარგად გრძნობს.

● წნორის მეცხოველეობის საცდელი კომპლექსი — სამრეწველო საფუძველზე ● კომპლექსი წელიწადში 10.000 ტონა ძროხის ხორცს აწარმოებს.



„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ესეც მეისრის ბრალია?

გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა სტატიები „აი რა მოსდევს უპასუხისმგებლობას“ და „ესეც მეისრის ბრალია?“. ერთშიც და მეორეშიც ლაპარაკი იყო ქუთაისტყიბულის რკინიგზის ხაზზე განლაგებული სატრანსპორტო ორგანიზაციების გაუმართავ მუშაობაზე.

პირველ სტატიაში მკითხველს ვუამბეთ იმის შესახებ, რომ ტყიბულის სტვენრთო სადგურში ცეცხლის აღში გაეხვია ორთქლმავალი და მასზე მიბმული მაზუთით სავსე ცისტერნა. ხანძარს საგალაო შედეგი მოჰყვა. საქმისადმი ყოვლად უგულო დამოკიდებულება გამოიჩინა ნავთობის გადამტუმბავმა მემანქანემ ნ. მშვილდაძემ, რომელმაც ცისტერნაში გაბლანტებული მაზუთის გათხევადების კატეგორიულად აკრძალულ ხერხს მიმართა: ვაგონის ქვეშ კოცონი დაანთო!

ეს შემთხვევა, როგორც ამას ამერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე ნ. ქარუმიძე გვატყობინებს, ოპერატიულად განიხილეს და რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსის ბრძანებით ნ. მშვილდაძე სამუშაოდან გაათავისუფლეს. ხანძრის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევასთან დაკავშირებული მასალები საგამოძიებო ორგანოებს გადაეცა.

მეორე სტატიაში ყურადღება იყო გამახვილებული სადგურ ორპირის მუშაკების მიერ შრომის დისციპლინის უხეშ დარღვევებზე. სადგურის მორიგე ჯ. ჟორჟოლაძე და მეისრე დ. ცირეკიძე ისე დათვრნენ, რომ მატარებლების შემადგენლობისათვის გეზის მისაცემად სათანადო აპარატურის ჩართვის თავი აღარ ჰქონდათ. საუბარი იყო იმ ყოველდ მიუტევებელ ფაქტზეც, რომ სადგურის ტერიტორიაზე სოკოსავით გამრავლდა პატარ-პატარა ფარდულები, სადაც აკრძალული ალკოჰოლიანი სასმელები იყიდება. სადგურში საშინელი ანტისანიტარიაა.

ეს აღმაშფოთებელი შემთხვევა, გვწერს ამხანაგი ნ. ქარუმიძე, საგანგებოდ განიხილა რკინიგზის სამტრედიის განყოფილებამ. სადგურის მორიგე ჯ. ჟორჟოლაძე და მეისრე დ. ცირეკიძე გათავისუფლეს სამუშაოდან. დაისჯნენ განყოფილების სხვა მუშაკებიც.

წერილში „ესეც მეისრის ბრალია?“ ლაპარაკი იყო აგრეთვე იმაზე, რომ ტყიბულში ერთ დროს კარგი მოსაცდელი დარბაზი ჰქონდათ, მაგრამ რატომღაც ავტოსადგურის ადმინისტრაცია დაეპატრონა და რკინიგზის მატარებლის მგზავრები ღია ცის ქვეშ არიან. ეს პრობლემა, ამხანაგ ნ. ქარუმიძის აზრით, ტყიბულის რაიაღმასკომმა უნდა გადაწყვიტოს, გამოყოს შენობა ავტობუსების სალარიებისათვის.

ბოლოს ამხ. ნ. ქარუმიძე გვწერს, რომ ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის მონაკვეთის ტექნიკური მაჩვენებლები შარშან, წინა წლებთან შედარებით, მართლაც გაუარესდა. სამტრედიის რკინიგზის განყოფილებაში შექმნილი საექსპლოატაციო სამუშაოების მდგომარეობა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის ტექნიკურ-ეკონომიკურმა სამმა არადამაკმაყოფილებელად ცნო. სამტრედიის რკინიგზის განყ ფ ლ ებ ის უფროსს ვ. ბაციკაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო განყოფილების უფროსის მოადგილე ვ. ზაქარიაძე გათავისუფლებულია სამუშაოდან.

საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის უარყოფ საფუძვლად კვლავინდებურად რჩება მათთვის მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური, მსოფლმხედველობის ჩანერგვა. ეს კომუნისტებს, მშრომელებს გადაეკისრა შეგნებულ პოლიტიკურ მებრძოლებად, რომლებსაც უნარი შესწევთ დამოუკიდებლად შეაფასონ სოციალური მოვლენები, ხედავდნენ მიმდინარე ამოცანების კავშირს ჩვენს საბოლოო მიზნებთან, დასაბუთებულ პოლემიკას ეწეოდნენ ყოველგვარ იდეურ მოწინააღმდეგეებთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ სხვა საკითხების დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, რომლებზეც პარტიული კომიტეტები მუშაობენ, იდეოლოგიური მუშაობა სულ უფრო მეტად გადამოდის წინა პლანზე. მშრომელთა შეგნებასა და აქტიურობაზე უშუალოდ არის დამოკიდებული განვითარებული სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა.

ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში, კ. უ. ჩერნენკოს მოხსენებაში და პლენუმის სხვა მასალებში დასახულია იდეოლოგიური საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების, მისი შედეგიანობის გაზრდის კონკრეტული პროგრამა. ამ **დანაგში** პარტიის ერთ-ერთი დიდი მნიშვნელოვანი ამოცანაა პარტიული განათლების და მასობრივი პოლიტიკური სწავლების სტილის შეცვლა.

პარტიულმა კომიტეტებმა და პროპაგანდისტთა კადრებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXVI ყრილობის რეკომენდაციებს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს, გარკვეული მუშაობა გასწიეს მარქსისტულ-ლენინური განათლების ორგანიზაციის სრულყოფისათვის. პარტიული სწავლების სისტემა ამჟამად 16 მილიონზე მეტ კომუნისტსა და უპარტიო აქტივისტს მოიცავს. სწავლების შინაარსის გაკვეთილურობას და ცხოვრებასთან მისი კავშირის განმტკიცებას ხელი შეუწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებამ „სსრ კავშირის სამოცი წელი“, მისი სტატიის „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ზოგიერთი საკითხი“ საფუძვლიანმა შესწავლამ. გააქტიურდა სკოლებისა და სემინარიების მსმენელთა მონაწილეობა თავიანთი პარტიორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში.

ამასთანავე პარტიული სწავლების საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. ბევრი მეცადინეობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს, ფორმალურად მიმდინარეობს, კომუნისტებს ცხოველ ინტერესს ვერ იწვევს. ზოგიერთი პროპაგანდისტი ურიგდება მსმენელთა ნაწილს საზოგადოებრივ პასიურობას. სუსტად ვითარდება პოლიტიკური თვითგანათლება, ინდივიდუალური. გეგმებით სწავლება. პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის ღრმად არ სწვდებიან მეცადინეობის შინაარსსა და ხარისხს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ღრმად გააანალიზა საქმის ვითარება იდეოლოგიური მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს მიმართულებით, გამოავლინა არსებული ნაკლოვანებანი, განსაზღვრა პარტიული სწავლების ხარისხისა და ქმედითობის შემდგომი ამაღლების გზები. როგორც პლენუმზე აღინიშნა, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ბოლო მოვუღოთ ფორმალიზმს, ამა თუ იმ ზოგადი დებულებების მექანიკურ, ცხოვრებისაგან მოწყვეტილ დაზეპირებას. „პოლიტიკური სწავლების აზრი ის არის, — თქვა ი. ვ. ანდროპოვმა, — რომ თითოეულმა მშრომელმა უფრო ღრმად გაიგოს პარტიის პოლიტიკა დღევანდელ პირობებში, იცოდეს მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, უფრო ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი და საქმით ასრულებდეს თავის საკუთარ მოვალეობას“.

პარტიული განათლება, მშრომელთა მასობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლება ორგანულად უნდა დაეუკავშიროთ პარტიულთა ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების მთელ საქმიანობას იმ კურსის განსახორციელებლად, რომელიც შეიმუშავეს სკკპ XXVI ყრილობამ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის და 1983 წლის ივნისის პლენუმებმა. იმაზე, თუ რამდენად შეუწყობს ხელს კომუნისტების, ყველა მშრომელის სწავლება ხალხის სულიერი ენერგიის მობილიზაციას, მისი შრომითი და სოციალური აქტიურობის გაზრდას, ბევრად არის დამოკიდებული მეთოდურმიტე ხუთწლედის შესრულება, ჩვენი წინსვლის ტემპი.

ჩვენი პარტია შეუნელებელ ყურადღებას უთმობდა და უთმობს იმას, რომ კომუნისტებს განუვითაროს თეორიული ცოდნის მოთხოვნილება, მისდამი ინტერესი და მისწრაფება. ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უცვლელი ლენინური ტრადიციაა.

ვხელმძღვანელობთ რა ივნისის პლენუმის „გადაწყვეტილებებით, „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიული სწავლების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, თანამიმდევრულად და მუყაითად უნდა გავაუმჯობესოთ მუშაობა მარქსისტულ-ლენინური განათლების სფეროში, ავამაღლოთ მისი იდეურ-თეორიული, ორგანიზაციული და მეთოდიკური დონე, მივაღწიოთ იმას, რომ პარტიული სწავლება აქტიურად ემსახურებოდეს პარტიული ორგანიზაციებს — შრომითი კოლექტივების წამყვანი ძალისა და პოლიტიკური ბრძოლის — ბრძოლის-უნარიანობის გაზრდას.

ამავამად პარტიული ორგანიზაციებისა და პროპაგანდისტების უპირველესი ამოცანაა განმარტონ და ღრმად შეასწავლონ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დოკუმენტები, რომლებსაც უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და ხალხის მთელი საქმიანობისათვის. თითოეულმა კომუნისტმა, ყველა მშრომელმა კარგად უნდა შეიგნონ პლენუმის გადაწყვეტილებათა არსი, მკაფიოდ განსაზღვრონ თავიანთი ადგილი მათს რეალიზაციაში. პლენუმის მიერ წამოჭრილი საკითხებისადმი ფართო მასების უდიდესი ინტერესის შესაბამისად, რეკომენდებულია ივლის-სექტემბერში მშრომელთათან გაიმართოს ორი მეცადინეობა სწავლების ყველა ფორმაში შემდეგ თემებზე: „ახალი ადამიანის ჩამოყალიბება კომუნისტური მშენებლობის მიზანი და პირობაა“ და „სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფა“.

პარტიული სწავლების სისტემაში ივნისის პლენუმის მასალების შესწავლა გაგრძელდება მომავალ სასწავლო წელს, რომელიც დაიწყება მეცადინეობით თემაზე „იდეოლოგიური მუშაობა მთელი პარტიის, თითოეული კომუნისტის საქმეა“. მეცადინეობის მიზანი ის გახლავთ, რომ კომუნისტები უფრო ღრმად გაიკვლევენ პარტიის იდეოლოგიური მუშაობის სულყოფის გზებში, შეიგნონ პირადი პასუხისმგებლობა მისი ხარისხისა და შედეგიანობის ამაღლებისათვის.

იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ძალაა მისი მეცნიერული საფუძვლიანობა, ყველაზე მოწინავე, დღეგანდაგ განვითარებად მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე დაყრდნობა. ჩვენი პარტია უდიდეს მუშაობას ეწევა რევოლუციური მოძღვრების შემოქმედებითი განვითარებისათვის. ბოლო წლების მანძილზე მიღებულია დიდმნიშვნელოვანი თეორიული განზოგადებანი და დასკვნები საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი განვითარების ხასიათზე. ცისინი პარტიას, მთელ ხალხს აიარაღებენ თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების ანალიზის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდებით.

მეცნიერული კომუნიზმის თეორიასა და პრაქტიკაში დიდი წვლილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე წარმოთქმული ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა, რომელშიც ღრმად არის დახასიათებული უახლოეს წლებსა და პერსპექტივაში საბჭოთა საზოგადოების განვითარების ძირითადი მიმართულებანი, განსაზღვრულია იდეოლოგიური მუშაობის მთავარი ამოცანები, დასახულია სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის შემუშავების საკვანძო საკითხები. საპროგრამო დებულებები და დასკვნები, რომლებიც მოცემულია სიტყვაში, ორგანულად შევა პარტიული განათლების, კომკავშირული პოლიტგანათლების, მშრომელთა მასობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის ყველა სასწავლო კურსში.

ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში კომუნისტებისა და უპარტიოთა აქტივისტების მთავარი ყურადღება ეთმობა მარქსიზმ-ლენინიზმის შემადგენელი ნაწილების, აგრეთვე ფუნდამენტური თეორიული და პოლიტიკური პრობლემების შესწავლას, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა წამოჭრა. აქმე ეხება, უწინარეს ყოვლისა, განვითარებული სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების ღრმა გაანრიგებას. ყველა ფორმის პარტიულ სწავლებაში უნდა გავაშუქოთ მისი საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის, განაწილების სფეროს განვითარების კანონზომიერებანი და ხასიათი. პარტიული პროპაგანდისტები მოვალენი არიან

ᲕᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲣᲙᲘᲗᲝᲠᲘᲣᲛᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲤᲧᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲣᲠ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის გაფართოებულმა სხდომამ განიხილა საცალო საქონელბრუნვის მიმდინარე წლის შვიდი თვის გეგმის შესრულების მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ მისი ზრდის ტემპი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა, რეალიზებულია ექვს მილიონ მანეთისაზე მეტი ნავთობპროდუქტები.

9-დან 51-მდე გაიზარდა ავტოგასაწყობი სადგურების რიცხვი, რომლებიც ნავთობპროდუქტებს ყიდიან მხოლოდ პირად ანგარიშზე. მარტო თბილისში ახლა თერთმეტი ასეთი სადგურია მაშინ, როცა წლის დამდეგს სულ ოთხი იყო. 47 ავტოგასაწყობი სადგური დღე-ღამის განმავლობაში მუშაობს, 125 გადაყვანილია მუშაობის ორცვლიან რეჟიმზე. საექსპლოატაციოდ გადაეცა 13 ახალი ავტოგასაწყობი სადგური, მთლიანად რეკონსტრუირებულია ექვსი, თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილია 26. რესპუბლიკის 13 ქალაქსა და რაიონში მთლიანად დამთავრდა ავტოგასაწყობი სადგურების სპეციალიზაცია.

ამასთან, აღინიშნა სხდომაზე, ცალკეული ავტოგასაწყობი სადგურები არ იყენებენ მუშაობის შედგომი გაუმჯობესების ყველა რეზერვს, ურიგდებიან სახელმწიფო ფონდიდან ბენზინის გადინების ფაქტებს, თუმცა 20 პროცენტით შეზღუდულია ერთიანი ტალონების გაცემა, რის შედეგადაც მიმდინარე წლის ექვსი თვის მანძილზე შესაძლებელი გახდა 1982 წელთან შედარებით გაეყიდათ 31.253 ტონით ნაკლები და დაეაქონლებინათ 40.250 ტონით ნაკლები ბენზინი, და ამ დარგში ჭვლავ არის დარღვევები.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ გამოავლინა საკუთარი ავტომანქანების 60 სხვადასხვა ორგანიზაციის კუთვნილი ერთიანი სახელმწიფო ტალონებით გაწყობის შემთხვევები. გამოვლენილია სხვა დარღვევებიც.

ნელა მიმდინარეობს ბენზინსარეგებელი სვეტების მართვის პულტების ტექნიკური უწესიერობის აღმოფხვრა, უხეშად ირღვევა ბენზინის გაყიდვის წესები ქალაქებისა და სოფლების მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში.

გაუჯობესებას საჭიროებს ქალაქ თბილისის ავტოგასაწყობი სადგურების სამმართველოს, ქალაქ ქუთაისის ავტოგასაწყობი სადგურების, ქალაქების ცხინვალის, ტყიბულის, მარნეულის, ცხაკაიას, ზობის, სხვა რაიონების ნავთობბაზების მუშაობა.

საცალო საქონელბრუნვის გეგმის სისტემატური შეუსრულებლობისათვის, სხვა დარღვევებისათვის თბილისის ავტოგასაწყობი სადგურების სამმართველოს უფროსს ზ. ლობჟანიძეს გამოუცხადეს სასტიკი საყვედური. მთავარი ინჟინერი ვ. რობაქიძე განთავისუფლებულია სამუშაოდან. თანამდებობიდან განთავისუფლებული არიან აგრეთვე ყველა იმ ავტოგასაწყობი სადგურისა და ნავთობბაზის უფროსები, სადაც გამოვლენილია სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევები. საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს იმ მუშაკების მიმართ, რომლებმაც შეასუსტეს კონტროლი ავტოგასაწყობი ბაზების მუშაობისადმი, განსორკეულდა დისციპლინური სასჯელის ღონისძიებანი.

კოლეგიის სხდომამ შეიმუშავა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი.

(საინფორმო).

● ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲗ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲗᲘ. შორი გზა—დუნაიდან ობამდე — აქვს გასავლელი მძლავრ ბუქსირს, რომელიც უნგრეთის გემთსაშენ და ამწეების ქარხანაში ააგეს საბჭოთა კავშირის შეკვეთით ორი ქვეყნის საწარმოო კოოპერაციის ფარგლებში. გემის მთავარ და დამხმარე ძრავებს, რადიოსადგურსა და სანავიგაციო ხელსაწყოებს აზის დამლა „დამზადებულია სსრ კავშირში“.

ამას წინათ უნგრეთის ამ საწარმოში აითვისეს 2.400 ცხენისძალიანი ამგვარი ბუქსირების გამოშვება, რომლებიც დიდად განსხვავდებიან წინამორბედებისაგან. ახალ მოდელებზე დადგმულია სპეციერო კონდიციონერები, საგრძნობლად გაუმჯობესდა ბეერითი და თბილოზოლაცია. მიმდინარე ხუთწლედში უნგრელი გემმშენებლები საბჭოთა კავშირს გამოუგზავნიან 10 ახალი ტიპის ყინულმჭრელ ბუქსირს ენისეზე, ობზე, ლენაზე და ოხოტის ზღვაში გამოსაყენებლად.

● ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ—ᲡᲝᲤᲚᲘᲡ

ᲙᲠᲐᲙᲝᲕᲘ. ჩეხოსლოვაკიელ მ ავიატორებმა დაიწყეს ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო თვითმფრინავის „აგრო-ტურბოს“ გამოცდა. იგი შექმნეს ქალაქ ოტროკოვიცეს „მორავანის“ საავიაციო ქარხანაში. ეს მანქანები, რომელთა სერიული წარმოება გაისად დაიწყება, შეცვლის ცხობილი „შმელის“ თვითმფრინავებს, რომლებმაც მიწათმოქმედთა აღიარება ჰპოვეს როგორც ჩეხოსლოვაკიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. სოფლის მშრომელთა ახალ საპაერო თანაშემწეს თავის წინამორბედთაგან განსხვავებით მთელი რიგი უპირატესობანი აქვს: ბევრად გაიზარდა ტვირთამწეობა, უფრო ეკონომიფრია საექსპლოატაციოდ და სხვ.

ავიაციას ჩეხოსლოვაკიის სოფლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ეფექტიანად ეხმარება მიწათმოქმედთ უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. მარტო შარშან სასოფლო-სამეურნეო ავიაციის — „სლოვაიარის“ მფრინავებმა ჰაერიდან სასუქებით გამოკვებეს 5,5 მილიონი ჰექტარი სავარგული — მთელი სახნავი მიწების თითქმის ნახევარი, 1990 წლისათვის ჰაერიდან დამუშავებული მიწების საერთო ფართობი 6,6 მილიონ ჰექტრამდე გაიზრდება.

● ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘ

ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠ ᲛᲨᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲖᲔ

ᲯᲐᲜᲝᲘ. შავ მდინარეზე შუენბარე ქაშხალისაკენ მიმავალ მთიან გზებზე უწყვეტ ნაკადად მოძრაობენ გიგანტური „ბელაზები“. ეკიპაჟები სამ ცვლად მუშაობენ. მათ ტროპიკული წვიმებისა და წყალუხვობის სეზონის მოახლოება აჩქარებთ.

სწრაფად გაიზარდა იმ მოხალისეთა რიცხვი, რომლებმაც ვიეტნამის ენერგეტიკის ნომერი პირველი ობიექტის აგებაში მონაწილეობის სურვილი განაცხადეს. ეს ობიექტი დამკვრელურ ახალგაზრდულ მშენებლობად არის გამოცხადებული. ხუთ თვეში ჰიდრომშენებელთა კოლექტივი ოთხი ათასი კაცით გაიზარდა. მათ შორის არიან ინჟინრები და ტექნიკოსები, რომლებმაც კვალიფიკაცია საბჭოთა კავშირში ან უშუალოდ მშენებლობაზე საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით მიიღეს.

ამჟამად ხაბინში 21 ათასზე მეტი კაცი შრომობს, აქედან თითქმის ათასამდე უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტია. გარდა ამისა საცხოვრებელი ბინების აგებაში, სხვა დამხმარე სამუშაოებში ჩრდილოეთ ვიეტნამის სხვადასხვა პროვინციების მრავალრიცხოვანი დროებითი ბრიგადა მონაწილეობს.

● ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ



ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡᲐ და მისი დასავლელი ხელისჩამდგმელების ცდები, რომ სოციალისტურ გზას აეცდინათ პოლონეთი და იგი სსრ კავშირსა და სოციალიზმის ბანაკისგან ჩამოეშორებინათ, წარუმატებლად დამთავრდა. სახალხო პოლონეთის მშრომელები, რომლებიც მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ძმურ დახმარებას ეყრდნობიან, ოპტიმიზმით, რწმენით შესცქერიან მომავალს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: დღევანდელი პოლონეთის სართულები. ქალაქმშენებლებმა შეიმუშავეს რესპუბლიკის დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმა 1990 წლამდე.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

● ᲘᲠᲐᲜ-ᲔᲠᲐᲥᲘ

ᲒᲐᲐᲤᲗᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ

ᲑᲐᲒᲓᲐᲓᲘ. ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის მორიგი კომუნიკეს თანახმად, ქალაქ ზურბათიის აღმოსავლეთით ფრონტის ცენტრალურ უბანზე გაფთრებულ ბრძოლებში 1 აგვისტოს დაზიანებულ 1200-ზე მეტი ირანელი სამხედრო მოსამსახურე, ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის დიდძალი სამხედრო საკუთრეული. ერაყის სამედრო-საჰაერო ძალებმა დარტყმები მიაყენეს ირანის პოზიციებს ფრონტის ცენტრალურ და ჩრდილოეთ უბნებზე, აგრეთვე ირანის ტერიტორიის სიღრმეში.

ᲜᲘᲪᲝᲖᲘᲐ. ირანის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, რომ გასულ დღე-ღამეში დაზიანებულ და დაჭრილ ათასამდე ერაყელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ააფეთქეს 10 ტანკი. გაფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ირანის ქალაქ მეჩრანის რაიონში, სადაც ირანის ჯარებმა მოიგერიეს ერაყის კონტრშეტევა, იუწყება სააგენტო.

● ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთმა მტკიცე პროტესტი განაცხადა შეერთებული შტატების იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ პაკისტანს მიაწოდოს „ხომალდ-ხომალდ“ კლასის ბარპუნის“ ტიპის რაკეტები. ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა გამოთქვა ინდოეთის მთავრობის შეშფოთება ვაშინგტონის ამ ნაბიჯთან დაკავშირებით. „ისლამაბადისათვის ახალი საზეობის შეტევითი იარაღის მიწოდება, — განაცხადა მან, — გააძლიერებს გამალებულ შეიარაღებას სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე და გამოიწვევს რეგიონში საერთო ვითარების დესტაბილიზაციას“.

● ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲙᲚᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. პაკისტანში სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ ხელისუფლებიდან სამხედრო ადმინისტრაციის გადაყენებას და მმართველობის სამოქალაქო ფორმების შემოღებას. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ისლამაბადიდან იუწყება, პაკისტანის დედაქალაქში გამართული ფედერალური საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ საჭიროა გაუქმდეს სამხედრო წესები და გადავიდნენ საპარლამენტო დემოკრატიაზე. გამოსულთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა 1973 წელს მიღებული კონსტიტუციის აღდგენას.

ის ფაქტი, რომ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რომლის წევრებსაც უშუალოდ პრეზიდენტი ზია-ულ-ჰაკი ნიშნავს რეჟიმის ერთგულ პირთაგან, მოწმობს, რომ პაკისტანში სულ უფრო მეტად არ სურთ შეურიგდნენ სამხედრო ადმინისტრაციის მმართველობას.

პაკისტანელი ხალხისათვის დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებათა მინიჭებას, საართლიანობის საფუძველზე საპარლამენტო არჩევნების მოწყობას და პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას მტკიცედ მოითხოვს ოპოზიცია. დემოკრატიის დამყარებისათვის მოძრაობამ — რვა ოპოზიციური პარტიის ალიანსმა მოუწოდა პაკისტანის დამოუკიდებლობის დღეს, რომელიც 14 აგვისტოს აღინიშნება, შეხვდნენ მასობრივი საპროტესტო მიტინგებითა და დემონსტრაციებით.

● ᲐᲤᲠ

ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲚᲝ ᲐᲥᲪᲘᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების საამიგრაციო ხელისუფლებამ მაიამში (მაიამის შტატი) დააპატიმრა იქ ჩასული იამაიკის მუშათა ცენტრალური კომიტეტის წევრი ჯონ ჰოტონი.

„კომუნისტური საქმიანობის კონტროლის“ შესახებ უბადაღებული კანონის საფუძველზე ჰოტონი სამსჯავროს წინაშე უნდა წარდგეს.

● ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲘ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ დემოკრატიული ორგანიზაციების ყოველწლიური ტრადიციული „მშვიდობის მარშის“ მონაწილეების კოლონამ იაპონიის გზებზე უკვე რამდენიმე ათასი კილომეტრი გაიარა. ქალაქებსა და სოფლებში ისინი მართავენ ომის საწინააღმდეგო კრებებს, მიტინგებს. მშვიდობისათვის მებრძოლები გულისწყრომით გმობენ იაპონიის ახლანდელი მთავრობის კურსს, რომელიც მხარს უჭერს ვაშინგტონის გლობალურ ბირთვულ სტრატეგიას, კაცობრიობას ატომურ კატასტროფას რომ უქადის.

„მშვიდობის მარშმა“ სტარტი აიღო 7 მაისს ტოკიოსა და იაპონიის სხვა ქალაქებში. მშვიდობისათვის მოძრაობის აქტივისტები ხიროსიმასა და ნაგასაკში მიდიან ამ ქალაქების ამერიკული ატომური ბომბებით დაბომბვის მორიგი წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: მარშის მონაწილეთა კოლონა ქალაქ იტამიის ქუჩებში (იაპონია).

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲠᲐᲡᲘᲖᲛᲘ ᲣᲜᲘᲚᲒᲝᲓ

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ

ᲮᲐᲠᲐᲠᲔ. „რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და მისი მოკავშირეების ინფორმაციული აგრესია „ფრონტისპირა“ სახელმწიფოების წინააღმდეგ პროტორიის რეჟიმის სტრატეგიის ნაწილია, რომლის მიზანია სამხრეთ აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების სამხედრო და ეკონომიკური დესტაბილიზაცია“. ეს ნათქვამია ზიმბაბვეს ქალაქ კადონაში დამთავრებული ანგოლის, ბოტსვანის, ზამბიის, ზიმბაბვეს, მოზამბიკისა და ტანზანიის ინფორმაციის მინისტრთა კონფერენციის აქ გამოქვეყნებულ ეკონომიკის განცხადებაში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ნიგერიის, სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესისა და სამხრეთ დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

დოკუმენტში აღინიშნულია, რომ დასავლეთის პრესამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა სამხრეთ აფრიკის რეგიონის მთავარი საინფორმაციო ცენტრი გახადა, გასაკვირი როდია, რომ დასავლეთის მრავალი საგენტო, გაზეთი, რადიო და ტელეკომპანია, რომლებსაც თავიანთი წარმომადგენლები აკრედიტებული ჰყავთ რასისტულ სახელმწიფოებში, შეგნებულად ამახინჯებენ აფრიკის ქვეყნების პოლიტიკასა და ცხოვრებას. ისინი პროპაგანდას უწევენ პრეტორიის რასისტთა არაობიექტურ შეხედულებას სამხრეთ აფრიკაში შექმნილ რეალურ სიტუაციაზე. ამიერიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მყოფ უცხოელ ჟურნალისტებს არ მისცემენ უფლებას იმუშაონ „ფრონტისპირა“ სახელმწიფოებში, რომლებიც მტკიცედ უარყოფენ აპარტეიდის პოლიტიკასა და პრეტორიის რეჟიმის მიერ ნამიბიის ოკუპაციას, რომელიმე „ფრონტისპირა“ სახელმწიფოდან გამოგდებულ დასავლელ ჟურნალისტს, ავტომატურად ჩამოერთმევა დაბარბენ სახელმწიფოებში მუშაობის უფლება.

კონფერენციაზე გამოსვლისას, ზიმბაბვეს ინფორმაციის, ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების მინისტრმა ნ. შამუიარირამ აღნიშნა, რომ პრეტორიის რეჟიმი ძალიერებს ინფორმაციულ აგრესიას მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტერიტორიიდან, აღნიშნა მან, აფრიკის სამხრეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან რადიოსადგურები „ვოის ოფ საუტ აფრიკა“ და „სამხრეთელი“. თავიანთ პროგრამებში დეზინფორმაციის ეს ცენტრები, რომელთა მუშაობაში ქმედით მონაწილეობას იღებენ დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, უხეშად ამახინჯებენ რეგიონის ქვეყნებში პროგრესულ გარდაქმნათა არსს.

„ფრონტისპირა“ სახელმწიფოების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, აღინიშნა შუბვედრაზე, საკადრისი პასუხი უნდა გასცენ აპარტეიდის სახელმწიფოს პროპაგანდისტულ კამპანიას, ამხილონ მისი რასობრივი ჩაგვრის პოლიტიკის არაადამიანური არსი, პრეტორიის აგრესიული ზრახვები. ფორუმის მონაწილეებმა გადაწყვეტეს გააქტიურონ დახმარება სამხრეთ აფრიკის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობების საინფორმაციო სამსახურებისათვის. კერძოდ, დაამსახუს პატრიოტებს გადასცენ დამატებითი რადიოსადგურები „ფრონტისპირა“ სახელმწიფოების ტერიტორიაზე, გაუხადონ მაუწყებლობის დრო. შექმნან ოპერატორების, ფოტოოპორტიორების, რედაქტორების, ტექნიკური პერსონალის კურსები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲮᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ Ჯ. ᲑᲣᲨᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბუში გამოვიდა პორტლენდში (მენის შტატი) ამერიკის შეერთებული შტატების გუბერნატორთა ეროვნული ასოციაციის ყრილობაზე. უხეშად ამახინჯებდა რა რეალურ საქმის ვითარებას, ცდილობდა ამერიკელ ბიზნესმენებისა და ვაშინგტონს „დემოკრატიისა და თავისუფლების ქომაგად“, იგი ცდილობდა გაემართლებინა თეორია სახლის აგრესიული პოლიტიკა.

ჯ. ბუში ამტკიცებდა, რომ პონდურასში ნაადრეობით 4 ათასი ამერიკელი ჯარისკაცისა და ოფიცრის დაგეგმილი გადაყვანა, აგრეთვე ცენტრალური ამერიკის სანაპიროსთან საბრძოლო ზომალდების დიდი ჯგუფის კონცენტრაცია დაკავშირებულია მხოლოდ „ჩვეულებრივი მანევრების“ მოწყობასთან. ჩვენ არ ვგზავნით ამერიკის ჯარებს ცენტრალურ ამერიკაში საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობისათვის, — თქვა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა. — არ ვცდილობთ ნიკარაგუის მთავრობის დამხობას“. ეს პირფერული განცხადებები ჯ. ბუშმა გააკეთა რეგიონის ქვეყნების საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების განუწყვეტელი ჩარევის საყოველთაოდ აღიარებული ფაქტების მიუხედავად.

ჯ. ბუში ცდილობდა რეგიონში ადმინისტრაციის „ზარბაზნების პოლიტიკა“ წარმოედგინა რაღაც ცდად, შექმნან იქ „უშიშროების ფარი“, რომლის როლი ვაშინგტონის სცენარის თანახმად, უნდა შეასრულონ ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა. ვიცე-პრეზიდენტი ცილისწამებით თავს დაესხა ნიკარაგუას, დაბარალა მათ ცენტრალურ ამერიკაში მდგომარეობის „დესტაბილიზაცია“. თუ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს დავუჯერებთ, შეერთებული შტატები კი არა, კუბა და ნიკარაგუა ამზადებენ ინტერვენციის რეგიონის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ..

ასეთიკე აბსურდული ბრალდებები წაუყენა ნიკარაგუას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. შულცმა. გაზეთ „სანი-სათვის“ მიცემულ ინტერვიუში იგი ცდილობდა ამ ქვეყნის მთავრობისათვის ეკარნახა, რა უნდა ქნას, რომ დაიმსახუროს ვაშინგტონის კეთილგანწყობა.

ვაშინგტონის მილიტარისტული კერნი დემოკრატიული წრეებისა და ყველა საღად მოაზროვნე პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

„ზარბაზნების დიპლომატიის“ საშიში ატავიზმი უფროდა ცენტრალურ ამერიკაში რეგიონის კურს სენატორმა ა. კრენსტონმა, რომელიც იღეწის იმისათვის, რომ პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენოს თავისი კანდიდატურა. ცენტრალური ამერიკის ქვეყნების ნაპირებთან ამერიკის ფლოტის კონცენტრაცია, ჰონდურასის ტერიტორიაზე დაგეგმილი მანევრები, განაცხადა მან სან-ფრანცისკოში გამართულ პრესკონფერენციაზე, ომის სერიოზულ საფრთხეს შექმნის რეგიონში. ამ მოვლენათა საშიში განვითარების ერთადერთი გონივრული ალტერნატივაა მოლაპარაკება ნიკარაგუის მთავრობასთან, ზაზი გაუსვა ა. კრენსტონმა.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲘᲗ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲖᲔ

ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡტᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ

ᲚᲔᲑᲘᲡ მსმენელებს რეკომენდაცია ეძლევათ შეისწავლონ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური საკითხები.

მეცნიერული კომუნიზმის სკოლებში სწავლების ძირითად შინაარსს შეადგენს პრობლემური კურსები განვითარებული სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის, პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის, სკკპ ისტორიული გამოცდილების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, თანამედროვე ეტაპზე სკკპ აკრარული პოლიტიკის, სოციალისტური ცხოვრების წესის, მსოფლიო სარბიელზე იდეოლოგიური ბრძოლის, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარების საკითხებზე.

პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო კადრების მარქსისტულ-ლენინურ წრთობას. პარტიის პოლიტიკის წარმატებული განხორციელება მოითხოვს, რომ ისინი საფუძველიანად დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. მომავალ სასწავლო წელს მათთვის რეკომენდებულია ორწლიანი სპეციალური კურსი — „განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის აქტუალური საკითხები“. დიდი მნიშვნელობა აქვს ეიღეგწოთ იმისათვის, რომ გაძლიერდეს პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლების მუშაობის ხარისხი, გაძლიერდეს კონტროლი ხელმძღვანელ კომუნისტთა იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისადმი. იდეოლოგიური აქტივი შეისწავლის იდეოლოგიური მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაუძლიერონ ყურადღება პოლიტიკური თვითგანათლების შემდგომ განვითარებას, ინდივიდუალური გეგმებით სწავლებას. უმაღლესი განათლების მქონე კომუნისტებს, რომელმაც გავლილ წელს დაამთავრეს აღრე აჩეული საგნების შესწავლა, დამოუკიდებელი მუშობისათვის რეკომენდაცია ეძლევათ შეისწავლონ უწინარეს ყოვლისა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ცალკეული ნაწარმოებები, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების აქტუალური პრობლემები, საბჭოთა კავშირში ეროვნული ურთიერთობანი და სხვა საკითხები. დამოუკიდებელი მუშობაში მსმენელებისათვის დახმარების გასაწევად უნდა გამოვიყენოთ სპეციალური ლექციები საკვანძო თეორიულ საკითხებზე, კონსულტაციები, სემინარები და თეორიული კონფერენციები. კომუნისტთა დამოუკიდებელი მუშობისადმი კონტროლის გაძლიერების, მათი ცოდნის სიღრმისა და სიმწიფის გამოვლენის მიზნით რეკომენდებულია მოეწყოს ინდივიდუალური და ჯგუფური გასაუბრებანი შესწავლილი საკითხების არსზე. ეს გასაუბრებანი უნდა მოეწყოს პარტიულ კომიტეტებში და ამისათვის მიიწვიონ კონსულტანტები, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები და გამოცდილი პროპაგანდისტები. მიზანშეწონილია ერთმანეთს ენაცვლებოდეს კომუნისტების სწავლება ორგანიზებულ ფორმებში და პოლიტიკური თვითგანათლება ინდივიდუალური გეგმების მიხედვით.

მეცნიერი ინტელიგენცია ქალაქ განაგრძობს მეთოდოლოგიურ სემინარებზე საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა ფილოსოფიური პრობლემების შესწავლას. საჭიროა, რომ სწავლების შინაარსი ბოლამდე ადეკვატური თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების, განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის აქტუალური საკითხებთან. მეთოდოლოგიურმა სემინარებმა თავისი წვლილი უნდა შეიტანონ სოციალისტური წყობილების უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა შეჯერების პროცესში.

პარტიული განათლების სისტემისათვის რეკომენდებული ყველა კურსის სასწავლო პროგრამები მომზადდეს შემდეგ აქტუალურ თემებზე: კოლექტიური იჯარა სოფლად; ეკონომიის ეფექტიანობა; ეროვნული ურთიერთობანი და სხვა საკითხები. დამოუკიდებელ მუშობაში მსმენელებისათვის დახმარების გასაწევად უნდა გამოვიყენოთ სპეციალური ლექციები საკვანძო თეორიულ საკითხებზე, კონსულტაციები, სემინარები და თეორიული კონფერენციები. კომუნისტთა დამოუკიდებელი მუშობისადმი კონტროლის გაძლიერების, მათი ცოდნის სიღრმისა და სიმწიფის გამოვლენის მიზნით რეკომენდებულია მოეწყოს ინდივიდუალური და ჯგუფური გასაუბრებანი შესწავლილი საკითხების არსზე. ეს გასაუბრებანი უნდა მოეწყოს პარტიულ კომიტეტებში და ამისათვის მიიწვიონ კონსულტანტები, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები და გამოცდილი პროპაგანდისტები. მიზანშეწონილია ერთმანეთს ენაცვლებოდეს კომუნისტების სწავლება ორგანიზებულ ფორმებში და პოლიტიკური თვითგანათლება ინდივიდუალური გეგმების მიხედვით.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲑᲐ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ

ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡტᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛ

ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე

5. საინტერესო საბუთი აღმოსავლეთ საქართველოს წარსულისა და თანამედროვეობის (XVII ს.) შესახებ

ნიკიფორე ირბახის ელჩობის შესახებ სიმპნეას არქივში გამოყენილ საბუთებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ქართველი ელჩის უშუალო მონაწილეობით შედგენილი „ცნობა იბერიისა და იბერთა ანუ ქართველთა შესახებ, მათ საზღვრებსა და (სარწმუნოებრივ) მოქცევაზე, წესჩვეულებებზე, (სამხედრო) ძალაზე, (პოლიტიკურ) განზრახვებზე და სხვ.“. ეს საბუთი საკმაოდ ვრცელი შინაარსისაა და თითქმის თანაბარი პროპორციით შეიცავს ცნობებს ჯერ საქართველოს წარსულისა, ხოლო შემდეგ იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების შესახებ, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთის წინააღმდეგ ესპანეთთან ერთობლივი ბრძოლის თემიურაზისეული გეგმის გაგრძელებასა და დაზუსტებას წარმოადგენს. რადგან საბუთი თითქმის მთლიანად არის თარგმნილი ქართულ ენაზე, ვფიქრობთ, მისი შინაარსის ანოტირებულ გადმოცემას ქართული თარგმანის ციტირება აჯობებს (ტექსტში არსებული მრავალწერტილები თარგმანის ცალკეულ ადგილებში შედარებით უმნიშვნელო კუპიურების არსებობას გულისხმობს, რაც ახლო მომავალში სრულად იქნება აღდგენილი).

„სახელწოდება იბერია და იბერები, — ნათქვამია საბუთში, — უძველესია, ოდი ძველ და ახალ ავტორთაგან მომდინარეობს. მას იცნობდნენ და მასზე მსჯელობდნენ პერიფლეტა, არისტოტელეს, ფლინესა..., პოლიბიუსი, ამიანე, სტრაბონი, პტოლომეუსი, ჯულეტარქე, პლინიუსი, ჰომპონიუს მელა და მრავალი სხვა როგორც ბერძენი, ისე ლათინი ავტორნი. ისინი ამბობდნენ, რაც მეტად საეჭვოა, რომ არსებობს ორი იბერია, ერთი აღმოსავლეთით, ხოლო მეორე — დასავლეთით, რომელიც არის სწორედ ესპანეთი... ამიტომ მე ვამბობ (საბუთი, სამწუხაროდ, ხელმოუწერელია — ჯ. ვ.), რომ პირველი იბერია და პირველი იბერნი აღმოსავლელნი იყვნენ, რომელთაც შემდგომ ქართველები (ტექსტში — გეორგიანელები) ეწოდათ და დღემდე ასე იწოდებიან ეროვნულებსა გამო წმ. გიორგის მიმართ, როგორც ამას ვოტერი და სხვა ასალი მწერლები აღნიშნავენ. მათ ხომ, რომელთაც იარაღი მუდმივ თანა აქვთ და ცხოვრების უმეტეს ნაწილს ცხენზე მჯდომნი ატარებენ, თავის ბედნიერ მფარველად წმ. გიორგი მიაჩნიათ; მიუხედავად ამისა, ბერძნები და აღმოსავლეთის სხვა ხალხები, რომლებიც მათ იცნობენ, გეორგიანელებს კი არ უწოდებენ, არაფერ იბერებს, რაგდან ეს მათი უძველესი სახელწოდებაა. მათ მიხედვით შემდეგ ესპანეთსაც იბერია ეწოდა, ხოლო ესპანელებს — იბერიელები, მაგრამ არა იმის გამო, რომ ისინი აქ მოვიდნენ და ესპანეთში კოლონიები შექმნეს, არაფერ იმიტომ, რომ ბერძნები, რომლებსაც წარმოდგენა ჰქონდათ აღმოსავლეთის იბერიაზე, სადაც, სტრაბონის თქმით, ოქროს ქვიშის მომტანი მდინარეები და ნაკადულებია, ხოლო მკვიდრი მცხოვრებნი ამ ოქროს წყალში საწმისების ჩაფენით აგროვებენ..., — შემდეგ ესპანეთში მოვიდნენ და, რაგდან ამ ქვეყნის მდინარეებიც იგივე აღმოაჩინეს, მას მეორე იბერია უწოდეს იმათ მსგავსად, ვინც დასავლეთის ნაწილს იწოდეთი უწოდა აღმოსავლეთის იწოდეთის მიხედვით. და ეს (ესპანეთს რომ იბერია ეწოდა), მე ვფიქრობ, მოხდა იაზონისა და არგონავტების დროს, რომლებიც, როგორც ამას ბევრი ავტორი გვიდასტურებს, კოლხეთში მოგზაურობიდან რამდენიმე წლის შემდეგ ესპანეთს ჩამოვიდნენ, განელეს რა ზღვა ტანაისიდან (თანამედროვე დონი ფიულისმენი — ჯ. ვ.) ბალტიის ზღვამდე, იქიდან კი საბერძნეთში დაბრუნდნენ ესპანეთის შემოვლით. რაგდან ჯერეული მდინარეები, მათ (ესპანეთში) რომ ისინელს, დუერო და ტაპო ეწო, რომლებიც ცნობილი არიან თავისი ოქროსშემცველი ქვიშით, აღმოსავლეთის იბერიაში ნანახის გაგლენით ესპანეთსაც ეგიგე სახელი უწოდეს, მისი სხვა სახელწოდება კი მათ ჯერ ალბათ არც იცოდნენ...

...აღმოსავლეთის იბერთა, რომლებიც ახლა ქართველებად იწოდებიან, საზღვრები და (სახელმწიფოს) ფარგლები, ძველი დროის უზუსტეს გეოგრაფთა სტრაბონისა და პტოლომეუსის მონაცემებით, შემდეგია: დასავლეთიდან ისინი კოლხების მიწებსა და ოლქებს ესაზღვრებიან, აქ ერთადერთი ვიწრო გასასვლელია (მთებში) გამაგრებული ციხესიმაგრით, რომელიც ამ გასასვლელს იცავს; ჩრდილოეთიდან ისინი ემიჯნებიან მომთაბარე სკვითებსა და სარმატებს, რომლებსაც ახლა თათრებს ეძახიან; ამბობენ, რომ აქვდან (კავკასიის მთებიდან იბერიისაკენ) ჩასასვლელ ძნელად სავალ გზას სამ დღეს ანდომებენენ; მაგრამ ამის გარდა არსებობს მეორე ვიწრო დაღმართი იქ, სადაც მდინარე არაგო (არაგვი) მიედინება, ეს გზა — 4 დღის სავალზეა და მის ბოლოს ძელიერ გამაგრებული კეფალია აღმართული; აღმოსავლეთიან მხრიდან ისინი ესაზღვრებიან ალბანეთს (ეს ის ალბანეთი არ არის ჩვენ რომ ახლა ვიცნობთ და რომელიც ეპირის სამეფოსა და ილირიის შორის არის განლაგებული...), საზღვარი აქ კასპიის ზღვასაც ემიჯნება, შესასვლელი კი (იბერიაში) აღმოსავლეთის მხრიდან ჯერ ნაგლეჯი ქვებით მოფენილ გზაზე გადის, ხოლო შემდეგ — კავკასიის მთებიდან ჩამონადენი მდინარის მიერ დატბორებულ და მრავლად დაშპობებულ მიწაზე; სამხრეთიდან ისინი სომხეთს ესაზღვრებიან, საიდანაც (იბერიისაკენ) გამართული გზებია კიროსისა (მტკვარი იგულისხმება — ჯ. ვ.) და არაგოს (არაგვის) გასწვრივ. შორიახლოს მათ შესასვლელთან ორი ქვით ნაშენი, გამაგრებული ქალაქი დგას, რომელნიც (ერთი მეორისაგან) 16 სტადიის მანძილით არიან დაშორებული...

ამ ქვეყნის (აღმოსავლეთის იბერიის — ჯ. ვ.) ადგილმდებარეობა და განლაგება, პტოლომეუსის დაკვირვებით, შეიფარდება 16 გრადუსს აღმოსავლეთის გრძედისა და 44-დან 64 გრადუსამდე — ჩრდილოეთის განედსა. განსაკუთრებით აქებს მის მდებარეობასა და დარიანობას სტრაბონი, რომელიც ამბობს, რომ ნაწილი (ელინშოგტანა) აქ მთაგორიანია, მაგრამ არის (მეორე) ვაკიანი და ერთობ ნაყოფიერ ნაწილიც, რომელიც იარწვნება სანაოსნო მდინარეებითა და უთვალავი (შედარებით) მცირე წყაროებით.

ამბობენ, რომ ეს ხალხი ძალზე მეომარია, ძლიერი და დამჯერი... ლუკულუსისა და პომპეუსის ცხოვრების აღწერაში პლუტარქე გადმოსცემს, რომ ირგვლივ მცხოვრებ ხალხთა შორის იბერნი ყველაზე ძლიერნი და შებრძოლი სულისკვეთებისანი არიან, და რომ ისინი არასდროს არ ემორჩილებოდნენ არც სპარსელებს, არც მიდიელებს და თავი დაალწიეს დიდი აღელვებანიც უდიდეს იმპერიასაც. დღეგანდლამდე (ისინი) არასდროს დამორჩილებიან არც სპარსელებს, არც თურქებს; ყოველთვის ჰყავდათ და (აწლაც) ჰყავთ თავისი მეფე, მისდევენ სოფლის მეურნეობას და ბუმბერა ომებზე არიან ჩაბმული. სტრაბონის რწმენებით, მათ თავისი არქიტექტურა აქვთ, შესანიშნავად შესრულებული მოედნები და საზოგადოებრივი შენობები. ეს ხალხი (იბერნები) ოთხ წაწილად არის გაყოფილი. პირველი ნაწილიდან ირჩევენ მეფეებს..., დანარჩენები (ამ ნაწილიდან) ონის დროს სარდლებად მსაზურობენ, ხოლო მშვიდობიანობის ვითარებაში — მართლმსაჯულებას ახორციელებენ. მეორე ნაწილს ღვთისმსახურნი შეადგენენ, მესამეს — ჯარისკაცები და ხალხიდან ბევრი მოაქვია ქრისტიანულ სარწმუნოებაზე...

კონსტანტინოპოლის ქრისტიან იმპერატორთა დროს მათ (იბერიის მეფეებს) ყოველთვის თანხმობა და კეთილმეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ იმპერატორთან; მშვიდრო იყო მათ შორის საქორწინო ურთიერთობაც. ერთხელ, დიდი იმპერატორის იუსტინიანეს დროს, როდესაც შეწყდა იბერიის მეფეთა მემკვიდრეობითი ხაზი (ტახტის, ტრადიციულად, გარდაცვლილი მამიდან ვაჟიშვილზე გადასაცემად — ჯ. ვ.), მათ (იბერებმა) თხოვნით მიმართეს იმპერატორს გარდაცვლილი მეფის ერთ-ერთი ქალიშვილი მეთხოვნოვნა ქალაქ ბაბილონის მფლობელისათვის, რომელსაც ათასნათო ადარმასი ერქვა და (ბიბლიური) დავთის გვარის შთამომავალი იყო. ამბობენ, რომ ამ ქორწინების შემდეგ იბერიის სამეფო ტახტს დღევანდლამდე, ყოველგვარი წყვეტილის გარეშე, ფლობენ (ქართულ ისტორიოგრაფიაში ადარნასეს სახელით ცნობილი — ჯ. ვ.) ამ მეფის შთამომავალნი.

ასევე იმპერატორი ირაკლი მიმართავდა ქართველთ-იბერთ დახმარებისათვის სპარსეთის შაპის ხოსროს წინააღმდეგ, როდესაც ბრძოლაში მონაწილეობდა წმ. ჯვარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. შემდეგ — კი (ირაკლი), როგორც იმ დროის ისტორიკოსები გადმოგვცემენ, ზედმიწევნით კმაყოფილი მიღწეული დიდი გამარჯვებით, ტრიუმფით დაბრუნდა იბერიაში და ბრძანება დაეარსებინათ აქ მრავალი ეკლესია და მონასტერი. მათ შორის განსაკუთრებუნ გამოირჩეოდა ერთი, მას სტაროსი ჰქვია, რაც ბერძნულად ჯვარს ნიშნავს, სადაც დღემდე, როგორც ამბობენ, მრავლადაა წარმოდგენილი უძველესი მოხატულობა, რომელიც ამ წმინდა საქმეზე მოგვითხრობს. აქვე ამბერაკტორ ირაკლის განსახიერებაა მოცემული ბერძნული წარწერებით, რომელნიც გვაცნობენ მისი (საბრძოლო) მიღწევების შესახებ, თუ როგორ წაიყვანა მან იბერიიდან 30 ათასი (ქართველი) ჯარისკაცი, მის დროშებს ქვეშ რომ იბრძოდნენ და სხვა...“.

აქ თავდება ექსკურსი აღმოსავლეთ საქართველოს ანუ ძველი იბერიის შორეულ წარსულში, სადაც, როგორც გამონაკლისი, რამდენიმე აწკარში მოეცმულია ცდა XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური საზღვრების დადგენისა იმავე მიზნით, რომელიც მკაფიოდ ჩანს ნიკიფორე ირბახის სახელით ფილიპე IV-სადმი წარდგენილი „ბარათის“ ზემოთ განხილულ შინაარსში: იბერიის მეფეს, რომელსაც საკმაოდ ვრცელი ტერიტორია აქვს, ესპანეთთან ერთად, კერძოდ, თურქეთზე თავდასხმის განზრახვა არა საზღვრების გაფართოებისადმი მიზანსწრაფვამ შეააგონა, არამედ სულ სხვამ — ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისა და ამ რეგიონში (ახლო აღმოსავლეთში) „უკანონოდ“ დამკვიდრებული და გაბატონებული თურქებისა და ზედმიწევნით აგრესიულად განწყობილი სპარსეთის პოლიტიკური დაორგანეზეის დაუოკებელმა სურვილმა. ეს ფაქტი, ამ საარქივო საბუთის კონტექსტისათვის დამახასიათებელ ნიუანსებთან ერთად გვაფიქრებინებს, რომ თუმცა „ცნობა“ ესპანელის მიერ არის დაწერილი, მის შედგენაში უშუალო და აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული ნიკიფორე ირბახს; მას ერთადერთს, შეეძლო მიეწოდებინა ისეთი შინაარსის (ზოგჯერ აშკარად გაზვიადებული) ცნობები XVII საუკუნის პირველი მესამედის დამლევის საქართველოს შესახებ, როგორიც საბუთშია მოტანილი, რაც, ცხადია, ერთგვარი დიპლომატიური ხერხი იყო. ინტერესს მოკლებული როდია ცნობები საკუთრივ ძველი იბერიის შესახებ, სადაც რიგი ცნობილი ისტორიული სიუჟეტებისა თავისებურად, ორიგინალურად არის გადმოცემული, კერძოდ, პიპოთეზა „ორი იბერიის“ შესახებ, ამბავი მირიან მეფის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევისა, ადარნასეს ქართლის მეფედ დასმისა, ირაკლი იმპერატორის სპარსელთა წინააღმდეგ ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობისა და სხვა. მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს მაინც XVII საუკუნის პირველი მესამედის საქართველოს შესახებ „ცნობაში“ დაცული ინფორმაცია იმსახურებს, რომლის შედეგნაში ქართველი ელჩის მონაწილეობის ფაქტი ეჭვს არ იწვევს.

„იბერიის ანუ ქართველთა ახლანდელი მეფის ძირითად (სამხედრო) ძალას, — ნათქვამია საარქივო საბუთში, — შეიარაღებული მხედრები წარმოადგენენ, რომლებსაც თავიდან ფეხამდე რკინის აბჯრები აქვთ და შეიარაღებული არიან შუბებით, ხმლებითა და შეიღდისრებით. ასეთები მას საკმარისად ჰყავს, როგორც ამბობენ, 70 ათასი კაცი. მას ჰყავს აგრეთვე 40 ათასი ქვეითი ჯარისკაცი და მსუბუქად შეიარაღებული მხედარი. ქვეითებს იარაღს მუშკეტები, ხმლები და შეიღდისრები წარმოადგენს. ამგვარად იბერთა მეფეს თავისუფლად შეუძლია საბრძოლველად თავი მოუყაროს 110 ათას კაცს.

გარდა ამისა, მას (თეიმურაზ მეფეს) კავშირი აქვს ამბავსა ბაბა რეგელდეგსთან..., წარმოშობით ქართველთან იბერიიდან, რომელიც დიდი მეგობარია დასახელებული მეფისა და ქრისტიანობისა საერთოდ, ვიდრე რომელიმე სხვა (ევროპელი) მფლობელი...

გააზრებული აქვს რა ყოველივე საფეხისო მიზეზი და შესაძლებლობა მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის სარგებლობის მოტანისა, ესოდენ დიდი მტრისა და ტირანისაგან მრავალი ქრისტიანის არა მხოლოდ ხორციელი, არამედ სულიერი გამოხსნა-გამთავისუფლებისა, მას (იბერიის მეფე თეიმურაზს) არ სურს დაკარგოს ასეთი ხელსაყრელი შესაძლებლობა..., რომელსაც ღმერთი ქრისტიან მეფეებსა და ხელმწიფეებს აძლევს და რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, ღვთისადმი სამსახური და წმინდა სარწმუნოების განდიდება უნდა დაეინახოთ და მხოლოდ ამის შემდეგ — კერძო ინტერესები. ამ და მრავალი სხვა მიზეზის გამო იბერიის მეფემ გადაწყვეტა შესაძლებლობა გამოეძებნა წმინდა ლაშქრობის განსახორციელებლად იმის გათვალისწინებით, რომ დიდ თურქს (სულთანს) ამჟამად არ გააჩნია წინააღმდეგობის გასაწევად და თავდასხმელეთან საჭიო ძალა და ძლეერება. იგი აქამდე არნახულ შეგიწროებულ და დიდად შეშფოთებულ მდგომარეობაშია (როგორც ეს სხვა საბუთშიც არის აღნიშნული). ამიტომ (იბერიის) მეფემ გადაწყვეტილება მიიღო განაზორცილოს კონსტანტინოპოლზე გალაშქრება მასში საერთო მტრის წინააღმდეგ პირადი მონაწილეობით, რათა დარჩენილი ძალები მტკიცედ დარაზმის წმინდა კათოლიკური სარწმუნოებისა და მთელი ქრისტიანული სამყაროს საკეთილდღეოდ იმ მიზნით, რომ ქრისტეს სახელის სადიდებლად მტერი განდევნოს (სახელმწიფოს) ფარგლებიდან, რომელიც (თავის დროზე) ბარბაროსულად იქნა მიტაცებული. ამის განსახორციელებლად (იბერიის მეფე) აგზავნის მის უდიდებულესობასთან ზემოთ მითითებულ აღმსარებელს თავის განზრახვათა შესატყობინებლად და გასანდობლად, რათა მან, ვითარცა ღვთის სახსურისა და წმინდა სარწმუნოებისათვის დაუღალავმა კათოლიკურმა ხელმწიფემ და მსოფლიოში ყველაზე ძლიერმა მოწარმეა, ამ ლაშქრობაში მონაწილეობის ხურვილი გამოთქვას, უფროზე როგორც ბატონმა, რომელიც ბრძანებს და ყოველივეს გადაწყვეტს. იბერთა მეფე კი თავისი ხალხით მის სამსახურში იქნება ისე, როგორც მის უდიდებულესობას მოესურვება.

ამის თაობაზე, თუ როდის და როგორ უნდა დაიწყოს ეს წმინდა ლაშქრობა შესაბამისად წინასწარ განზრახულისა, იგი (იბერიის მეფე) შემდეგს ამბობს: თუ ელჩი დროულად დაბრუნდება (საქართველოში) და ჩაიტანს მისი უდიდებულესობის გადაწყვეტილებასა და ბრძანებას, ლაშქრობა მომავალი (16) 28 წლის გაზაფხულზე დაიწყება, თუ არა — შემოდგომისათვის გადაიდება, ვინაიდან ქართველ-იბერნი ზამთარ-ზაფხულ ბრძოლას ჩვეულნი არიან. იგი ფიქრობს (1627 წლის) შემოდგომაზე დაიწყოს ტრაპეზუნდისაკენ ჩასვლა და შემდეგ იქიდან, კაპადოკიასა და ვიფინიაზე გავლით, ჩააღწიოს ამ პრონვინციის მთავარ ქალაქ პრუსს, რომელიც სამი დღის სავალზეა კონსტანტინოპოლიდან. ეს ქალაქი იბერებს განზრახული აქვთ ჯარის თავშესაყარ ადგილად გამოიყენონ, სადაც დაიზამთრებენ კიდევაც მისი უდიდებულესობის ფლოტისა და (სამხედრო) დასმარების მოლოდინში. ამასთან ერთად, შესაძლებელი იქნება (ამ ლაშქრობაში მონაწილეების მისაღებად) კოზაკები და პოლონეთის მეფის სხვა ქვეშევრდომნიც დაიყოლიონ, რომლებიც (დანიშნულ ადგილას) თავიანი (ბრტყელძირიანები) ნავებით მოვლენ და (მოკავშირეებს) დაეხმარებიან ჯარისკაცთა პროპონენტად მარჯვენა ნაპირზე გადაყვანაში. ეჭვგარეშეა, რომ გზაში, მოლაშქრეთ შეეურთდება დიდი რაოდენობა ხალხისა, როგორც ქრისტიანები, ისევე გენოსარეთის მცხოვრებნი, რომელთაც სურვილი აქვთ ქრისტიან მეფეთა ფრთის ქვეშ (საომრად) თავმოყრისა. ღვთის მადლითა და მისი უდიდებულესობის დახმარებით ამ წმინდა ლაშქრობას სრული წარმატება უნდა ჰქონდეს.

მაგრამ, ასეთი გადაწყვეტილებისა და წინადადებების მიუხედავად, იბერთა ანუ ქართველთა მეფე მზად არის მიიღოს რჩევა და აზრი მისი კათოლიკური უდიდებულესობისა და მისი რჩევის გარეშე ამ წმინდა ლაშქრობასთან დაკავშირებით არაფერი მოიმოქმედოს“.

ზემოთ ციტირებულ საარქივო საბუთში ნიკიფორე ირბახის თანამედროვე საქართველოს შესახებ დაცული ცნობები მრავალმხრივ არის საინტერესო, განსაკუთრებით კი იმით, რომ აქ დაზუსტებულ-დაკონკრეტებულია თეიმურაზისეული გეგმა, კერძოდ, თურქეთზე ერთობლივი გალაშქრებისა, ძირითადად, ისეთი ძლიერი მოკავშირის დასმარებით, როგორიც იმდროინდელი ესპანეთი იყო. მაგრამ საბუთის შინაარსის მიხედვით, ჩვენი აზრით, იმ დასკვნის გამოტანაც შეიძლება, რომ XVII საუკუნის პირველი მესამედის დამლევს თეიმურაზ I ფაქტობრივად თურქეთის წინააღმდეგ ახალი, შედარებით ლოკალური, ჯვაროსნული ლაშქრების მოწყობის თაოსან-ინიციატორად და ანტითურქული კოალიციის ერთ-ერთ სულისჩამდგმელად გვეელინება. ასეთი დასკვნა, ვფიქრობთ, გადაუჭარბებელია და თავისთავად იმაზე მიგვიანიშნებს, რომ ქართულ-კახეთის მეფის პოლიტიკური ალღო იმდროინდელ საქართველო-კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შედმიწევნით რეალისტურ აღიქმა-გაანალიზებაზე იყო დამყარებული.

6. დასკვნის მაგიერ

ნიკიფორე ირბახის ელჩობა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, ესპანეთში ქართული დიპლომატიკის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენათა რიგს განეკუთვნება და ჩვენი ქვეყნის წარსულის მეტად მშფოთვარე, განსაცდელით აღსავსე პერიოდს უკავშირდება. დოკუმენტური მასალის ნაკლულობის გამო მისი ძირითადი პოლიტიკური მიზნები ქართული ისტორიოგრაფიისათვის ბოლო დრომდე დაფარული იყო. ამ ხარვეზის შევსებას დიდად შეუწყო ხელი ესპანეთის არქივსაცავში ამ მოკლე ხნის წინათ გამოვლენილმა უცნობმა და ამდენად სრულიად შეუსწავლელმა დოკუმენტურმა მასალამ. მისმა საფუძვლიანმა შინაარსმა გვიანფეოდალური ხანის საქართველოს, კერძოდ, თეიმურაზ I-ის მეფობის ისტორიის არაერთი საინტერესო სიუჟეტის დოკუმენტური აღდგენის შესაძლებლობა მოგვცა. ერთ-ერთი მთავარი და უტყუარი დასკვნა, რომელიც ახალგამოვლენილი მასალის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს XVII საუკუნის პირველი მესამედის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მოწყობილობა გახლავთ, „აზრისა, რომლის მიზანსწრაფვა გასცდა თავისი ქვეყნის ფარგლებსა და საერთაშორისო მნიშვნელობის ერთობ რთულად განსახორციელებელი პოლიტიკური ღონისძიების თაოსნისა და ორგანიზატორის როლში მოგვეელინა.

ნიკიფორე ირბახის დასავლეთ ევროპაში ელჩობის პოლიტიკურ შედეგებზე თუ ვიმსჯელებთ, იგი, სამწუხაროდ, წარუმატებელი აღმოჩნდა.

პოლიტიკური წარუმატებლობა ნიკიფორე ირბახის ელჩობისა, ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, შედეგი იყო ქართველი მეფის მიერ სპარსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ შეთავაზებული დროული ერთობლივი გალაშქრების საქმეში „მეორე მხარის“ ანუ ესპანეთის ხელისუფალთა მხრივ აშკარად გამომჟღავნებული აუჩქარებლობისა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, არაოპერატიულობისა (რასაც არაერთი ზემოთ განხილული საარქივო საბუთის შინაარსი ადასტურებს). ამ მიზეზის გამო თეიმურაზისეული რეალური გეგმა ორ აგრესიულ მუსლიმანურ სახელმწიფოზე ერთობლივი თავდასხმისა ორივე შემთხვევაში განუხორციელებელი დარჩა არა მარტო ქართულ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ინტერესების საზიანოდ, არამედ საკუთრივ ესპანეთის ინტერესების საზიანოდაც, რომელმაც გაუმართლებელი ყოყმანის გამო თეიმურაზის მიერ სამხედრო მოქმედების დასაწყებად მითითებული ყველაზე ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გაუშვა.

ასეთი გახლავთ ზოგიერთი მოსაზრება-კომენტარი ნიკიფორე ირბახის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ელჩობის შესახებ ახალგამოვლენილი საარქივო მასალიდან დამოწმებული ცალკეული საბუთის შინაარსის გამო. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი „ჭაშნიკია“ ამ საკმაოდ ვრცელი დოკუმენტური მასალის საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლისათვის, რაც ახლო მომავლის საქმეა.

ჯ. ვათეიშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“, № 175, 177.

ქაჯაკი ჯარისკაცი (ჯ. კასტელის ალბომიდან).

ზეიმოგდა სიმღერის უკვდავება

ნაირშვერი ყვავილებით შეხვდნენ თელაველი ხელოვნების მოყვარულნი „იმერეთის ბულბულების“ ერთ-ერთ სათაყვანებელ წარმომადგენელს, იმხნელების ცალად დარჩენილ დას თამარს, მის შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს, იმხნელების ფეხბედნიერი კვალის მიმყოლს.

„სტვენს ბულბული ვარდსა ზედა“... — გალობს ჩვეული ოსტატობით თამარ იმხნელი, კვლავ ატკბობს თელაველ მაყურებელს მისი სევდიანი, ჯადოსნური მელოდიები.

შეხვედრა გაახსნა თელავის კულტურის სახლის დირექტორმა დ. კეკერაძემ.

სათაყვანებელ მომღერალს მიესალმნენ რესპუბლიკური ოლიმპიადის მრავალგზის ლაურეატები, აკურის საშუალო სკოლის მოსწავლეები — ქართლ-კახური სამღერების პატარა შემსრულებლები, თელავის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა გუნდი პ. დემურიშვილის ხელმძღვანელობით, ცნობილი ვოკალური გუნდი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჯაფარიძე.

მთელი საღამო ზეიმობდა სიმღერის უკვდავება.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ინფორმაცია-83

მეგობრობის დღესასწაული

კურორტ ახალ ათონში გაიმართა ხალხთა მეგობრობის დიდი ზეიმი, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა. კურორტის სტადიონზე, საესტრადო მოედნებზე, ცნობილი გამოქვაბულის მიწისქვეშა სასახლეში დილიდან ჭეთა საღამომდე ისმოდა ლექსი და სიმღერა ქართულ, აფხაზურ, რუსულ, სომხურ ენებზე. ხალხთა მეგობრობის ამ დღესასწაულის მრავალი მონაწილე შეიკრიბა კურორტის ცენტრალური ტურბაზის „კიარაზის“ ღია საესტრადო მოედანზე.

ხალხთა მეგობრობის დღესასწაულში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. კობახია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

დღესასწაულზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ოზგანმა.

ზეიმის მონაწილეებს მიესალმა და მომავალი წარმატებანი უსურვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა რ. ბუთბამ.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ პოეტები და მწერლები — მ. ლასურია, ი. თარბა, შ. აკობია, ა. ჯონუა, ო. ტოროსიანი, ნ. თარბა, ჯ. ჯანელიძე, მ. გვასალია, ბ. ბეგია, გ. ბუბლია, მ. ხურცილავა, მ. მიქაია, დ. ჩაჩბალია, ნ. კვიწინია და სხვები.

ზეიმის დასასრულს ათონის მონასტერში თავიანთი საშემსრულებლო ხელოვნება უჩვენეს აფხაზეთის სახელმწიფო კაპელამ და სიმფონიურმა ორკესტრმა, სტადიონზე გამართულ კონცერტზე კი ნან�ზეზოლია ცნობილი ანსამბლი „ნართაამ“, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა, აფხაზეთის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „მარათინმა“, ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „რიწამ“ და გუდაუთის სიმღერისა და ცეკვის რაიონულმა ანსამბლმა.

მეგობრობის დღესასწაულში მონაწილეობდნენ ირაკლი ბაშეიძე, ევგენი ევტუშენკო, კარლო კალაძე, ბაგრატ შინკუბა, გიორგი გულია და სხვები.

ი. ბოგვერია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘᲐ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

რამდენიმე დღეც და სპარტაკიადა დასრულდება. დადგება ჟამი ფიქრისა და განსჯისა. გამოჩნდება რაში ვივარგეთ, რაში ჩამოვრჩით თვალწინაცემად და რომელ სახეობაში ვტკეპნით ერთ ადგილს.

ახლა კი მივყვეთ სპარტაკიადის მსვლელობას.

ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐᲜᲗᲐ შეჯიბრების მესამე დღეს მ-2 ვარჯიშის საწყისი ეტაპი დაიწყო. ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, რომ მ-1 ვარჯიშში საქართველოს ქალთა ნაკრებმა, რომელსაც ქეთევან ლოსაბერიძე უდგას სათავეში, მეშვიდე ადგილი დაიკავა. ვაქეს მეთორმეტე ადგილზე გამოვიდნენ, ორივეს ჯამით კი საქართველოს ნაკრები მეათე ადგილზეა. ეს სწორედ სასპარტაკიადოდ შედეგია, ამ ვარჯიშის განმეორების შემდეგ დაჯამდება მხოლოდ საკვანძო ჩემპიონატის გუნდური შედეგები. პირადში კი თითოეულის ჯამი გაარკვევა სპარტაკიადაში საბოლოოდ გამარჯვებულის ვინაობა (როგორც ცალკეულ დისციპლინაზე, ისე აბსოლუტურში). შეჯიბრების მესამე დღეს მშვილდოსანმა ქალებმა ისაპარეზეს 70 და 60 მეტრ დისტანციაზე, ვაეგები კი ისროდნენ 90 და 70 მეტრზე. ამ სეირიების შემდეგ საქართველოს ქალთა გუნდმა მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა — 5339 ქულა. პირველ ადგილზე 5588 ქულით მოსკოველთა ნაკრებია. პირად პირველობაში ქ. ლოსაბერიძე კვლავ მეოთხე ადგილზეა, რომელსაც უკანასკნელ ორ დისტანციაზე ასპარეზობის წინ 1869 ქულა აქვს. პირველი სამეულში არიან ნ. ბუტეზოვა (მოსკოვი) — 1906 ქულა, ზ. გამბოჟაპოვა (რსფსრ)— 1894 და ზ. რუსტამოვა (ტაჯიკეთი) — 1879. მეზუთე ადგილზე იყო ლ. არეანიკოვა (უკრაინა) — 1852, მეექვსეზე — ს. გრომოვი (მოსკოვი) — 1850 ქულა. როგორც ხედავთ, ლოსაბერიძეს უახლოესი მეტოქეები ჩამორჩებოდა 19 ქულით, რუსტამოვა კი მას ამჯერად 10 ქულით უსწრებდა. ერთი სიტყვით, ვინ როგორ გაიაზლილებს საპრიზო ადგილებს, ბოლო ორ დისტანციაზე სროლის დროს გაირკვევა. რაც შეეხება საქართველოს ვაჟთა ნაკრებს, იგი 5051 ქულით მეთერთმეტე ადგილზე გახლდათ, ლიდერთა შორის კი პირველი იყო უკრაინის გუნდი — 5421 ქულა.

ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲒᲘᲝᲡ შეჯიბრების გუნდურ ესტაფეტაში (4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით) საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ ი. პოტაპოვი, ნ. უაგი ვიტყობინებოდით, რომ მ-1 ვარჯიშში საქართველოს ქალთა ნაკრებმა, რომელსაც ქეთევან ლოსაბერიძე უდგას სათავეში, მეშვიდე ადგილი დიაკავა. ვაეგი მეთორმეტე ადგილზე გამოვიდნენ, ორივეს ჯამით კი საქართველოს ნაკრები მეათე ადგილზეა. ეს სწორედ სასპარტაკიადოდ შედეგია, ამ ვარჯიშის განმეორების შემდეგ დაჯამდება მხოლოდ საკვანძო ჩემპიონატის გუნდური შედეგები. პირადში კი თითოეულის ჯამი გაარკვევა სპარტაკიადაში საბოლოოდ გამარჯვებულის ვინაობა (როგორც ცალკეულ დისციპლინაზე, ისე აბსოლუტურში). შეჯიბრების მესამე დღეს მშვილდოსანმა ქალებმა ისაპარეზეს 70 და 60 მეტრ დისტანციაზე, ვაეგები კი ისროდნენ 90 და 70 მეტრზე. ამ სეირიების შემდეგ საქართველოს ქალთა გუნდმა მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა — 5339 ქულა. პირველ ადგილზე 5588 ქულით მოსკოველთა ნაკრებია. პირად პირველობაში ქ. ლოსაბერიძე კვლავ მეოთხე ადგილზეა, რომელსაც უკანასკნელ ორ დისტანციაზე ასპარეზობის წინ 1869 ქულა აქვს. პირველი სამ